ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

35 (9975) • 27 seqtemberi • 2012 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

დღეიდან გაზეთ „ალიონის“ ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე: www. alion.ge

ჟურნალისტების აქცია ოზურგეთში

24 სექტემბერს, 18 საათზე, №60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის შენობის წინ ოზურგეთელმა ჟურნალისტებმა საპროტესტო მდუმარე აქცია გამართეს.

აქციაში მონაწილეობდნენ გაზეთების: „გურია ნიუსი,“ „ალიონი,“„გურიის მოამბე,“ რადიო „იმედის, “ტელეკომპანიების „გურია, “„მაესტრო,“ „მე-9 არხი,“ და „ინფო 9“ ჟურნალისტები. ისინი ცეესკოს მიერ მედიასაშუალებებისათვის არჩევნების დღეს დაწესებულ შეზღუდვების პროექტს აპროტესტებდნენ.

აქცია დაახლოებით ნახევარ საათს

№60 ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები

	კანდიდატები	პარტიები
1	კახა ბურჯალიანი	კახა კუკავა- თავისუფალი საქართველო
5	რამაზ ნიკოლაიშვილი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-მეტი სარგებელი ხალხს
10	კახაბერ ღლონტი	გიორგი თარგამაძე- ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება
23	ვლადიმერ ვაშალომიძე	ჯონდი ბაღათურია- ქართული დასი
24	ლევან კალანდაძე	ახალი მემარჯვენეები
30	ემზარ მახარაძე	მერაბ კოსტავას საზოგადოება
38	დავით მამალაძე	შალვა ნათელაშვილი ლეიბორისტული პარტია
41	ზვიად კვაჭანტირაძე	ბიძინა ივანიშვილი- ქართული ოცნება

„ქართული ოცნების" მსვლელობა ოზურგეთში

მარი კოძოევი

ქართულმა ოცნებამ ოზურგეთში მსვლელობა კიდევ ერთხელ მოაწყო. მსვლელობის მონაწილეებმა ოზურგეთის შტაბის სამი წევრის რამდენიმე საათიანი დაკავება გააპროტესტეს და ადმინისტრაციულ შენობასთან მისულებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, გუბერნატორს, მის მოადგილეებს და სხვა თანამდებობის პირებს მოუწოდეს„დროზე მოეგეთ გონს" და თანამდებობა დატოვეთო.

შეჩერდნენ პოლიციასა და საკაბელო ტელევიზია „მადის" წინაც. მხარდაჭერის ნიშნად, მსვლელობას მძღოლები სიგნალებით ეხმიანებოდნენ. გარეთ გამოვიდნენ და მიესალმნენ უფასო სასადილოს ბენეფიციარებიც. მათ „ქართული ოცნების“ ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერები კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში უკეთეს ცხოვრებას დაჰპირდნენ.

იყო მოწოდებები, შემოგვიერთდით... მსვლელობას მართლაც შეუერთდა რამდენიმე ადამიანი, მათ შორის კოლეჯ „ჰორიზონტის" სტუდენტები.

ლელა ნაცვალაძემ და გიგა გირკელიძემ მიმართვა გაავრცელეს

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ სამოქალაქო საზოგადოება" 25 სექტემბერს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, პრესკონფერენცია გამართა.

მარი კოძოევი

მივმართავთ პოლიტიკური ორგანიზაციებისა და საჯარო სამსახურების მოხელეებს: მოიპოვეთ პირადი თავისუფლება, გაიზიარეთ საქართველოს საზოგადოებისაგან შემოთავაზებული ძირითადი პრინციპები-სიმართლე, რეალური თავისუფლება. არა უთხარით ძალადობას. უარი თქვით სასტიკ ძალმომრეობაზე, უზნეობაზე, ბინძურ პოლიტიკურ თამაშებზე, ფარისევლობასა და ტყუილზე. დროულად დაფიქრდით რამდენად საიმედონი არიან ისინი, ვინც ხელს გიშლით ყოველივე ამის განხორციელებაში. დაბრუნდით ღირსებასთან, რწმენასთან და სიყვარულთან. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ შემდგან ქვეყანაში.-ნათქვამია მიმართვაში.

ქალაქის ცენტრში ახალი ლამპიონები დამონტაჟდა

„ოზურგეთის კომუნალური მომსახურების ცენტრის“ გარე განათების განყოფილების მიერ ქ. ოზურგეთსა და მიმდებარე სოფლებში გარე განათების ლამპიონები დამონტაჟდა. კერძოდ, მთლიანად გამოიცვალა ქალაქ ოზურგეთის ცენტრალური ქუჩების (ჭავჭავაძის, დოლიძის, ერისთავის, 26 მაისის, იოანე პეტრიწის) გარე განათების ლამპიონები და ელექტროგადამცემი ხაზები. დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე 150 ვატიანი ლამპიონები.

როგორც „ოზურგეთის კომუნალური მომსახურების ცენტრის“ გარე განათების განყოფილების უფროსმა **ავთანდილ ბაღიშვილმა** გვითხრა, ახალი ლამპიონები საკმაოდ ეკონომიურია და იგი ბევრად უკეთ გაანათებს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებს. სამსახურისთვის ამ ზაფხულს შეძენილ იქნა სპეციალური ავტომანქანა, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია უფრო ეფექტურად შევასრულოთ სამონტაჟო სამუშაოები და დროულად აღმოვფხრათ

პატიმრების წამების ფაქტები ოზურგეთელმა მოსწავლეებმაც დაგმეს

მარი კოძოევი

გუშინ, ქ. ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის ცენტრალურ მოედანზე, ახალ სკვერში ქ. ოზურგეთის №1 და სოფ. შრომის საჯარო სკოლის 40-მდე უფროსკლასელი შეიკრიბა, რომლებიც საქართველოს ციხეებში პატიმართა წამების ფაქტებს აპროტესტებდნენ.

–ჩვენ მოსწავლეები ვართ და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვემხრობით. ის, რაც ტელეეკრანებიდან ვნახეთ, ამაზრზენია და საზოგადოების პროტესტს ჩვენ ხმასაც ვუერთებთ.

აქციაზე მოსწავლების რამდენიმე მშობელიც იყო. მათი თქმით, კარგი იყო ამ მშვიდობიან აქციას პედაგოგებიც შეერთებოდნენ, მაგრამ მათი თქმით, იციან თუ რისი შიშით არ მოვიდნენ ისინი აქ.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია

ღირსეულებს შეუძლიათ ხელი ჩამოართვან მოწინააღმდეგეს და მიულოცონ გამარჯვება

ურთიერთპატივისცემას მოაქვს ნდობა

რატომ ავიწროებენ ჩემს ოჯახს?

ნინო ნიკოლაიშვილი

24 სექტემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის შტაბთან მრავლად იყო შეკრებილი ადამიანები. ზოგი კოლონად მდგარ მიკროავტობუსში იმყოფებოდა, ზოგი შტაბის წინ საუბრობდა. ჟურნალისტების გამოჩენაზე აქტივისტებმა სასწრაფოდ გააფრთხილეს, ვინც ვიყავით და კითხვებზე პასუხი არ გაეცათ. ერთ-ერთმა მამაკაცმა გვიპასუხა – „სირბილში შეკიბრზე ვართ დაძახილიო“. ჩვენს კითხვაზე, ასე როგორ შეგაშინეს, პასუხის გაცემას რა თავი უტკივა-მეთქი, დუმილი ამჯობინა. თუმცა დუმილზე მეტად გასაკვირი და გულსატკენი წარმოდგენილ ადამიანთა ბოღმიანი თვალები და გამოხედვა უფრო იყო. ჩემს რეპლიკაზე, ასე დაყოფა ადამიანებისა როგორ შეიძლება, ყველა მხარე ამ ქვეყნის შვილია და ერთად უნდა იცხოვროთ, ყველა თავის ღირსებას უნდა უფრთხილდებოდეს, ასე წაკიდება და დაყოფა, რომელი მხრიდანაც არ უნდა იყოს, საშინელებაა, თქვენ ყველანი სჭირდებით სამშობლოს, მეთქი, ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ფარული გადაღება მოგვინდომა. ისევ რეპლიკა, ჩვენი მხრიდან: ასეთი ფორმებით თავის დამკვიდრებას ცხოვრებაში, ღირსეული გზებით დაემკვიდრეთ, მეთქი, ცინიკური ღიმილი მოჰყვა მათი მხრიდან. შემზარა მათმა სახეებმა, ეს ბავშვები შემეცოდა. თუმცა სოფ. ოზურგეთელმა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, გვარად ბრეგვაძემ, როცა ერთ-ერთი მსახიობისგან გაიგო, რომ ჩვენ „ალიონის“ ჟურნალისტები ვიყავით, და არ წარმოვადგენთ არც ერთ მხარეს, ზრდილობიანად მოგვიხადა ბოდიში.

როგორც შემდეგ გავიგეთ, მიკროავტობუსების კოლონა იმ ღამით თბილისში მიემგზავრებოდა პრეზიდენტის შეხვედრაზე.

საზოგადოება ხედავს ბევრ უმსგავსობას, მაგრამ ამას რომ პატარა გოგო-ბიჭები აკეთებენ, ჩემი ქვეყნის მომავლის ნამდვილად მეშინია.

შემაშფოთებელია, როგორ გაიყო ქვეყანა ბანაკებად. როგორ ასმენს მეზობელი მეზობელს, მეგობარი მეგობარს. როგორ კარგად ითვისებენ უკეთურ შეგონებას: – „ყველა განსხვავებული აზრის მქონე ჩვენი მტერია, გამოიყვანე ისინი წყობიდან ყველანაირი გზებით, დასწამე ცილი, ფსიქოლოგიურად გაანადგურე, ნელ-ნელა მოუსპე არსებობის საშუალება“.

ასე გულგრილად ადგენენ სიებს მათგან მტრად შერაცხულ ადამიანებზე და გადასცემენ სადაც ვჯერ არს.

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო, როგორ ავიწროებენ ჩემს ოჯახს. სოფელ მთისპირის რწმუნებულის მოადგილე, გენადი ზურგალიძე, რომელსაც ნიჭიერ გამყალბებლად და დამშინებლად ასახელებენ სოფელში, აფრთხილებს კომისიის წევრებსა და შტაბის წევრებს, არ ჩავიღნენ ჩემს ეზოში და არ იკონტაქტონ ჩვენთან. მას ჩემთან შეხვედრისას, როდესაც კატეგორიულად მოვთხოვე თავი დაანებოს ასეთ უმსგავსობას, არ უარუყვია ეს ინფორმაცია. კომისიის წევრებს არა, შტაბის წევრებს ვეუბნებიო.

ასევე გვაქვს ინფორმაცია, ზურგალიძე ემუქრება კონკრეტულ პირებს, არჩევნების შემდეგ არ გინდათ ამ სოფელში ცხოვრებაო?

კიდევ უფრო გულსატკენია, როცა სოფლის რწმუნებულები სასულიერო პირთა მიმართ, რომლებმაც დაგმეს საშინელი ძალადობის ფაქტები, გამოთქვამენ მუქარას, ნახოს არჩევნების შემდეგ თუ არ გავაგდებინებ აქედანო.

ვიღაც სკამისთვის იბრძვის, ვიღაცას მისი დაკარგვის ეშინია, იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, ვიღაცას კეთილდღეობის დათმობა არ უნდა, მაგრამ მაინც რას ვიხდიან ამ უმსგავსობაში, ასე ბრმად რომ ასრულებთ მავანთა დავალებებს, არ აქვს მნიშვნელობა, რომელი მხარის წარმომადგენელიც არ უნდა იყოთ, ერთხელ მაინც არ ყოფილხართ სინდისის წინაშე გულწრფელნი?

საზოგადოებრივი სტერეოტიპები, თუ ქალის პირადი დამოკიდებულება

ნინო ნიკოლაიშვილი

მრგვალი მაგიდა თემაზე „გენდერი, ქალი და არჩევნები“ ოზურგეთში, საქართველოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა „ახალგაზრდა პედაგოგთა და ფსიქოლოგთა ასოციაციის მიერ, „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდისა„ და „ „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის დირექტორმა ნანა ჩოფლიანმა და კოორდინატორმა დიმიტრი ჩქარეულმა შესაბამისი საერთაშორისო და ადგილობრივი დოკუმენტებისა და ინსტიტუციონალური მექანიზმების განხილვით წარმოადგინეს გენდერული თანასწორობის საკითხები გადაწყვეტილების მიღების დონეზე.

შეხვედრას ოზურგეთიდან ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები. მათი აქტიური ჩართულობით განიხილეს რეგიონში და არა მარტო რეგიონში გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ არსებული სტერეოტიპები და მათი მსხვრევის გზები. ცალსახა იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკასა თუ გადაწყვეტილებების მიმღებ ინსტანციებში საჭიროა გენდერული ბალანსის არსებობა. რადგან ამ შემთხვევაში უმცირესობას ქალები წარმოადგენენ, ისაუბრეს იმ მიზეზებსა თუ შედეგებზე, რაც ამ კუთხითაა წარმოდგენილი.

– რატომ იბლოკება ქალი, რა უშლის ქალს ხელს, აქტიურად იყოს წარმოდგენილი პოლიტიკაში მაშინ, როდესაც ქალმა მხრებზე აიტვირთა პრობლემათა მეტი ნაწილის გადაჭრა ოჯახსა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როცა ემიგრანტთა უმრავლესობა ქალია, ასევე მათი უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში საკმაოდ მძიმე სამუშაოებზე, ეს პრობლემები თავად ქალთა შესაძლებლობებშია, თუ არის კიდევ ობიექტური მიზეზებიც. ამ შეკითხვაზე იყო მსგავსი და განსხვავებული პოზიცია.

იზღუდება თუ არა მამაკაცთა უფლებები, როცა მათ არავინ ამუშავებს ძიძად, სახლის დასალაგებლად ან მინების მწმენდავად, ამ კითხვამ უმრავლესობის ღიმილი გამოიწვია, პოზიციაც უმრავლესისა იყო - არა. მაგალითად ქართული ოჯახი დასახელდა, სადაც ყველას თავისი საქმე უნდა ჰქონდეს განაწილებული და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება ამისი გაცვლა.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ქალთა მონაწილეობას, აქ ყველას აზრი იყო ერთიანი. ქალმა თავადაც უნდა შეცვალოს თავის ცხოვრებაში ბევრი რამ და საზოგადოების და ოჯახის დამოკიდებულებაც უნდა შეიცვალოს ამ კუთხით.

ოზურგეთელი მორაგბეების წარმატება

ოზურგეთელმა მორაგბეებმა კარგად გაიარეს მოსამზადებელი ეტაპი სოფ. ვაკიჯვარში და „ა“ლიგის გასვლით შეხვედრაში, ქ. ჭიათურაში ადგილობრივ „ იმერეთს“სძლიეს 47:15.

როგორც გურიის რაგბის ფედერაციის თავმჯდომარე ზვიად უნგიაძემ გვითხრა, ჭიათურაში განსაკუთრებით კარგად ითამაშეს ძმებმა დავით და გიორგი კალანდაძეებმა, ბორის ჯაბუამ, დავით ტრაპაიძემ, ლევან შათირიშვილმა. მოგეხსენებათ, დასავლეთიდან პლეი ოფში „ქუთაისი I“ გავიდა და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ისპარეზებს.

ამ გუნდმა ჩვენგან „ბ“ლიგის მოთამაშეები ენვერ ჭკუასელი, ლაშა დონაძე, ზურა ჟორჟოლაძე და მამუკა ჩანჩიბაძე წაიყვანეს და იქ ვარჯიშობენ.

ეს კი დიდი წარმატებაა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ მამუკა ჯანაშიას.

„ა“ლიგის მორაგბეებმა მომდევნო შეხვედრა ქ. თბილისში, „არმიასთან“ ჩაატარეს. ისინი შეხვედრას 15:8 იგებდნენ, მაგრამ მსაჯების არაობიექტურობის წყალობით 18:15 დამარცხდნენ. ტრავმები მიიღეს გუნდის წამყვანმა მორაგბეებმა ლევან შათირიშვილმა, დავით ბი მიიღეს გუნდის წამყვანმა მორაგბეებმა ლევან შათირიშვილმა, დავით ტრაპაიძემ და ბორის გულბიანმა. ამ წაგების შემდეგ „არწივებმა“III ადგილისათვის უნდა იბრძოლონ.

რაც შეეხება საფესტივალო გუნდს, 1998-99 წლებში დაბადებულ მორაგბეებს, მათ ფოთში ქუთაისის „ბაგრატი“ დაამარცხეს და სპეციალური სერთიფიკატი გადაეცათ

„მერცხალის“ მორიგი მატჩები

„ლიახვთან“ ეროვნული ჩემპიონატის საშინაო მატჩში დიდი ანგარიშით (5:0) მოგების შემდეგ, ოზურგეთის „მერცხალი“დავით ყიფიანის თასის გათამაშების 1/16 განმეორებით მატჩში, ქ. ქობულეთში დამარცხდა „შუქურასთან“ და ორი მატჩის ჯამში (0:3, 0:2) გამოეთიშა თასის გათამაშებას.

24 სექტემერს კი ეროვნული ჩემპიონატის მორიგ გასვლით მატჩში ცხინვალის „სპარტაკს“ შეხვდა და დამარცხდა 0:2.

29 სექტემბერს „მერცხალი“ ქობულეთის „შუქურას“ უმასპინძლებს.

ტურნირი მინი ფეხბურთში

სპორტის დეპარტამენტმა გურიის ჩემპიონატი ჩაატარა მინი ფეხბურთში. ჯერ რაიონული ჩემპიონატი ჩატარდა, (5-5 გუნდი თითოეული მუნიციპალიტეტიდან), ხოლო შემდეგ ქ. ლანჩხუთში ფინალურ ტურნირზე ნატანების, მაკვანეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის გუნდები შეიკრიბნენ.

ნახევარფინალში ნატანებლებმა მასპინძლებს დიდი ანგარიშით (4:0) სძლიეს, ხოლო მაკვანეთლება– ჩოხატაურლებს 2:1. ფინალში ნატანებლებმა მაკვანეთლებს სძლიეს 2:1 და ჩემპიონები გახდნენ.

ლანჩხუთლებმა ჩოხატაურლებს სძლიეს 4:2 და III ადგილზე გავიდნენ.

გამარჯვებულ გუნდს 2000 ლარი გადეცა; II ადგილზე –1000 ლარი, ხოლო III ადგილზე გასულს–500 ლარი.

გურიის ჩემპიონატი მკლავჭიდში

სპორტის სამინისტროს და მკლავჭიდის ფედერაციის ორგანიზებით ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჩატარდა გურიის ჩემპიონატი მკლავჭიდში, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა ხელით ჭიდილში.

კარგად იასპარეზეს ოზურგეთელმა მკლავჭიდელებმა 65, 75, 85, 100, და 100კგ-ს ზემოთ გურიის პირველი ჩემპიონები გახდნენ ოზურგეთლები ილია ჟვანია, გიგა ჭაღალიძე, ზურაბ თავბერიძე, დათო თენიეშვილი და მამუკა შუბლაძე.

მარცხენა ხელით ჭიდილში გაიმარჯვეს ილია ჟვანიამ, გიგა ჭაღალიძემ, ზურაბ თავბერიძემ, და მამუკა შუბლაძემ.

მეორე ადგილზე ჩოხატაურელი მკლავჭიდელები გავიდნენ, ხოლო მესამე ლანჩხუთელები იყვნენ.

დაარსდა გურიის მკლავჭიდის კლუბი, რომლის პრეზიდენტად გელა შაფაქიძე აირჩიეს, ხოლო ყველაზე ღონიერ მამაკაცთა კლუბის პრეზიდენტად, თორნიკე სურგულაძე.

ტურნირს კურატორობა გაუწია ზვიად უნგიაძემ.

გელა ცელაძე

უახლოესი ამხანაგების ჯგუფი:
მ. სალუქვაძე, ლ. მიქაძე, დ. სხვიტარიძე, ბ. სიამაშვილი.

ძნელია მასზე საუბარი, როგორც წარსულში. ძნელია დაივიწყო კეთილი და მუდამ ღიმილიანი. მასწავლებლობა ბევრს ნიშნავდა მისთვის, შვილებივით უყვარდა მოსწავლები. ივივე სიყვარული უბრუნდებოდა მათგანაც, მუდამ წარმატებული იყო მის მიერ მომზადებული ანსამბლები, რომლებსაც არაერთ ფესტივალში და კონკურსში უსახელებია თავი. წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა მედიცინის მუშაკთა სახლს. ამიტომაც დაუფასდა შრომა და მისცეს დამსახურება.

დღეს იგი ჩვენს შორის აღარ არის. 4 ოქტომბერს მას 71 წელი შეუსრულდებოდა.

თომა ბარამიძე

რა მალე გავიდა წელიწადი, უშენოდ...გაუფერულდა ცხოვრება... დაკარგეთ სიცოცხლის ხალისი...

მტკივნეულია შენი გარდაცვალება, უფლის ნებით, ორი წლის წინ ჩამოხვედი, ნახე ყველა შენი ნათესავი, ახლობელი, მეგობარი, უკანასკნელად გამოეთხოვე მათ და ძალიან კმაყოფილი წახვედი, იმ დიდი სიყვარულის გამო, რაც მოგანიჭეს.

გვენატრები! გვენატრება შენი ხმა, ღიმილი ალალი, კეთილი გამოხედვა, ხანდახან სევდანარევი, იმ შინაგანი ტკივილისა, რასაც ფარულად ატარებდი. ყველაზე კრიტიკულ დროსაც კი მძიმე და თავდაჭერილი იყავი. ცრემლები გულში გელვრებოდა, გულმა ვეღარ გიერთგულა და ძალიან ადრე გიღალატა.

დაგტირიან და შენს საფლავს ალამაზებენ შენი მოხუცი მშობლები. შენ მათი დიდი ტკივილი ხარ. ყველაზე საყვარელი და ნანატრი შვილი. ამიტომ იყო „მკაცრი მსაჯული“ მოხუცი მამა შენთვის. ერთი შვილი მეორეს ვერასოდეს ჩაანაცვლებს, შენი მონატრება მარადიულია...

ბავშვობაში დედის ნაცვლად ზურიკოს იფიცებდი, შენს მამიდაშვილს. სოფელში ხშირად დადიოდი, ქალაქშიც მასთან გაიქეცი, საქმეს ერთად ავაწყობთო, მაგრამ არ გამოვიდა. უფალმა იცის შენ როგორი კეთილი გულის პატრონი იყავი და ყველასთვის კარგი გინდოდა. შენ არ იცოდი რა იყო სიძულვილი.

ალბათ შინაგანი ხმა გკარნახობდა, რომ ზურიკო იქნებოდა შენი ოჯახის ჭირის გამზიარებელი, შენი ძმა და შენი კეთილის მსურველი.

ზურიკომ ჩამოასვენა შენი ცხედარი საქართველოში.

ჩემო ერთადერთო ძამიკო, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

მარინა, ზოია

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru